საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 176^4 მუხლი:

„მუხლი 176^4. წამახალისებელი გათამაშების შესაბამისი ნებართვის გარეშე მოწყობა

1. წამახალისებელი გათამაშების „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი ნებართვის გარეშე მოწყობა –

გამოიწვევს მომწყობის დაჯარიმებას 20 000 ლარით და გათამაშებული/ გასათამაშებელი საპრიზო ფონდის 10 პროცენტის ოდენობით.

შენიშვნა: თუ გათამაშებული/გასათამაშებელი საპრიზო ფონდის ოდენობა 5 000 ლარს არ აღემატება, შესაძლებელია სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს მომწყობის დაჯარიმებას 40 000 ლარით და გათამაშებული/ გასათამაშებელი საპრიზო ფონდის 10 პროცენტის ოდენობით.“.

2. 219-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები განიხილავენ ამ კოდექსის 153^7, 153^8 და 153^{10}–153^{12} მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155^5 მუხლით, 155^6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 165-ე მუხლით, 171^5 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებითა და 176^4 და 194-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 42^{10} მუხლით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 127^1 მუხლის მე-2, 3^1 და 3^2 ნაწილებითა და 129^1, 157-ე, 174^{17}, 177^{14}, 177^{15}, 191^1 და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.“;

ბ) მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამ კოდექსის 42^{10} მუხლით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 155^3 მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155^5 მუხლით, 155^6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^5 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებითა და 174^{17}, 176^4, 177^{15} და 179^3 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ პირებს.“;

გ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კოდექსის 153^7, 153^8, 153^{10}–153^{12} და 176^4 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, თუ შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ გამოკვლევას არ საჭიროებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საამისოდ

უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს ამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე ადებს ადმინისტრაციულ სახდელს.“.

3. 239-ე მუხლის მე-19 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. ამ კოდექსის 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 91^2 მუხლით, 91^3 მუხლის პირველი ნაწილით, 127^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 135^2 მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153^1, 153^5, 155^1–155^3, 155^5 და 155^6 მუხლებით, 155^7 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155^9, 155^{10}, 157-ე, 158-ე, 164-ე, 164^4 და 165-ე–165^3 მუხლებით, 171^4 მუხლის მე-2 ნაწილითა და 171^5, 176^4, 178-ე, 179^3, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 42^{10} მუხლით, 127^1 მუხლის 3^1 და 3^2 ნაწილებითა და 174^{17} და 177^{15} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

25 ივნისი 2020 წ.

N6491-IIს